NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY
SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD

CRRC საქართველო
კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

მტერი თუ მოყვარე?

რას ფიქრობენ ქართველები რუს მიგრანტებზე და პირიქით

თბილისი, საქართველო
სექტემბერი, 2024

CRRC-საქართველოს შესახებ

CRRC-საქართველო არის არაკომერციული კვლევითი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი მონაცემების ხელმისაწვდომობას საზოგადოებრივი სიკეთისთვის. ორგანიზაციის მისიაა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საკითხების შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული დისკუსიის ხელშეწყობა სანდო, უახლესი, და ხელმისაწვდომი მონაცემების შეგროვებითა და ანალიზით.

ავტორი

ზაქარი ფაბოს, მკვლევარი
კონტაქტი: z.fabos@crrccenters.org

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი კვლევა დემოკრატიის ეროვნული ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ავტორი და შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს CRRC-საქართველოსა და დემოკრატიის ეროვნული ფონდის შეხედულებებს.

საავტორო უფლებები

© CRRC-საქართველო. ყველა უფლება დაცულია.

დოკუმენტს საავტორო უფლებები აქვს. ნებართვის გარეშე ნაშრომის სრული ან ნაწილობრივი თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება შესაძლოა, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენდეს.

სარჩევი

შესავალი 3

მტრული მემკვიდრეობა 5

ქართველების ზოგადი დამოკიდებულება რუსი მიგრანტების მიმართ 7

მიგრანტების პერსპექტივა 11

დასკვნა 13

გამოყენებული ლიტერატურა 14

დიაგრამების სარჩევი

დიაგრამა 1: „რამდენად ენდობით/არ ენდობით რუსეთის მოქალაქეებს, ვინც რუსეთი დატოვა?“ 8

დიაგრამა 2: „რამდენად ხშირად გაქვთ კონტაქტი რუსეთის მოქალაქეებთან, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ?“ 9

დიაგრამა 3: „რამდენად ხშირად გაქვთ კონტაქტი რუსეთის მოქალაქეებთან, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ?“ (პროგნოზირებული ალბათობა) 10

შესავალი

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ რუსეთის 1.2 მილიონზე მეტმა მოქალაქემ გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი. მათი ნაწილისთვის საქართველო ტრანზიტული ტერიტორია იყო მესამე ქვეყანაში გამგზავრებამდე, თუმცა, სხვებმა აქ დარჩენა არჩიეს.[1] მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ბევრმა მოქალაქემ ქვეყანა უკრაინის ომის მიმართ პროტესტის, ან ქვეყანაში დაწყებული „ნაწილობრივი მობილიზაციის" გამო დატოვა, საქართველოს ადგილობრივმა მოსახლეობამ ისინი სხვადასხვაგვარად მიიღო.[2] კონფლიქტის დაწყებამდეც, არც თუ ისე იშვიათად შეხვდებოდით კედლებზე წარწერებს, რომლებიც რუსეთს საქართველოს ოკუპანტად აცხადებდა და რუსეთისა და მისი პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მიმართ, სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდა.

ეს სიძულვილი უმეტესად რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოწყვეტილი ტერიტორიების აღიარებიდან, ასევე 2008 წელს საქართველოში შეჭრიდან მომდინარეობს. ქვეყანაში საომარი გამოცდილება და უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ საქართველოში რუსეთის მოქალაქეების შემოდინება ამ უკანასკნელთათვის საინტერესო მოცემულობას ქმნის. რუსეთის დატოვების მიუხედავად, აღიქვამენ თუ არა საქართველოში მცხოვრებნი რუს იმიგრანტებს რუსეთის ნაწილად? რამდენად მოქმედებს ეს მათ შესაძლებლობაზე, რომ ახალ ქვეყანაში ინტეგრაცია მოახდინონ და რამდენად აპირებენ ამის გაკეთებას? ეს სტატია გამოკითხვის მონაცემების საფუძველზე აანალიზებს რუსებისა და ქართველების მოსაზრებებს, ქვეყანაში რუსი მიგრანტების აღქმებს, მათი ჩამოსახლების გავლენასა და ინტეგრაციის შესაძლებლობას.[3]

---

[1] კვაჭაძე, „რუსეთიდან საქართველოში 1.2 მილიონი მოქალაქე შემოვიდა – 9 თვის მონაცემები." 2023.

[2] Silagadze, "How do Georgians feel about the influx of Russians?" 2023.

[3] CRRC–საქართველო, დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED). „რუსი იმიგრანტების ცხოვრება საქართველოში." 2023.

მტრული მემკვიდრეობა

საქართველოში ჩამოსული რუსი მიგრანტები უჩვეულო სიტუაციაში არიან. მართალია, ბევრი მათგანი უკრაინაში ომს ეწინააღმდეგება, პუტინის რეჟიმს აკრიტიკებს ან სამხედრო მობილიზაციას გაურბის, მაგრამ ისინი მაინც იმყოფებიან ქვეყანაში, რომელშიც რუსეთი ათ წელზე ცოტა მეტი ხნის წინ შეიჭრა.[4] მიუხედავად იმისა, რომ ეს მიგრანტები ლიბერალურ ღირებულებებს უჭერენ მხარს, ქართველებმა ისინი არაერთგვაროვნად მიიღეს და ბევრი მათგანი ქვეყანაში ომის პერიოდის ტურისტად შერაცხეს.[5] ურთიერთობებს კიდევ უფრო ართულებს კლასობრივი დაყოფა და ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ რუსეთი კოლონიური ძალაა, მისი მოქალაქეები კი – კოლონიზატორები.[6] მარტო 2022 წელს საქართველოში 100,000–ზე მეტი რუსი მიგრანტის ჩამოსვლამ კიდევ უფრო გააძლიერა მსგავსი განწყობები.[7]

არსებულ დაძაბულობას დაემატა ისიც, რომ მიგრანტების დიდი ნაწილი მოსახლეობის ცენტრებში დასახლდა, თბილისსა და ბათუმში, და გააგრძელა დისტანციურად მუშაობა იმ კომპანიებში, რომლებიც მათ მშობლიურ ქვეყანაში მდებარეობს, ისეთ ხელფასზე, რაც ბევრად აღემატება ადგილობრივთა უმეტესობის შემოსავალს. ეს კი საცხოვრებელი ხარჯების ზრდას იწვევს.[8] გარდა ამისა, საქართველოს რბილი საიმიგრაციო პოლიტიკა არა მხოლოდ იმის უფლებას აძლევს რუსეთის მოქალაქეებს, რომ ქვეყანაში ერთ წლამდე პერიოდის განმავლობაში გაჩერდნენ ვიზის გარეშე, არამედ იმუშავონ ან დააარსონ ბიზნესი მცირე რეგულაციების დაკმაყოფილებით. ჩამოსახლებულმა საქმოსნებმა გახსნეს რესტორნები, ბარები, კაფეები, ხელოვნების სტუდიები და ბევრი სხვა წამოწყება, რაც

[4] Prashizky, “Living in limbo.” 2023. 3.

[5] Korableva, Jonutyte, Silvan. “Domestic and International Reverberations from Russia’s War in Ukraine.” 2023. 3–4.

[6] Korableva, Jonutyte, Silvan. “Domestic and International Reverberations from Russia’s War in Ukraine.” 2023. 3–4.

[7] Korableva, Jonutyte, Silvan. “Domestic and International Reverberations from Russia’s War in Ukraine.” 2023. 3–4.

[8] Korableva, Jonutyte, Silvan. “Domestic and International Reverberations from Russia’s War in Ukraine.” 2023. 3–4.

უმეტესად რუსულენოვან კლიენტებს ემსახურება და ქართულენოვანი მოსახლეობისგან აშორებს მათ.[9]

მიგრანტი მუშახელის ჩამოსვლა და უცხოელების მიერ ქონების შეძენა საქართველოსთვის ახალი ფენომენი არ არის. 2019 წელს, მაგალითად, უძრავი ქონების შემსყიდველთა 69% უცხოელი იყო.[10] ომის დაწყებამდეც კი, საკუთარი მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილმა რუსეთის მოქალაქეებმა საქართველოში გადმოსვლა დაიწყეს და ამის მიზეზად საკუთარ ქვეყანაში პოლიტიკური პირობების გაუარესებას ასახელებდნენ.[11] უცხოელების მიერ ქონების შეძენა დამატებითი სტრესია ეკონომიკისთვის, რომელიც ისედაც სიმდიდრის უზარმაზარი სტრატიფიკაციის მოწმეა და ამ ფინანსური სტრესის ადვილად შესამჩნევ დამნაშავეზე იშვერს ხელს.[12]

ამასთან, ქართული ენის გამოყენება, ან მისი არგამოყენება, მკაფიო განმასხვავებელი ნიშანია ადგილობრივებსა და უცხოელებს შორის. მართალია, ზოგი მიგრანტი ამტკიცებს, რომ ენის სწავლა აუცილებელი არ არის, რადგან ქართველების დიდმა ნაწილმა იცის რუსული ან/და ინგლისური, ეს აჩვენებს ხმამაღალ განსხვავებას ჯგუფებს შორის, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ, ადგილობრივების აღქმით, მიგრანტების აქ ყოფნას კოლონიური ელფერი დაჰკრავს.[13] გარდა ამისა, [რუსული] ენის გამოყენებამ ქვეყანაში მნიშვნელოვნად პოლიტიკური ხასიათი შეიძინა და რუსეთის სახელმწიფოს მხარდაჭერასთან ასოცირდება.[14] ამ გაღიზიანების გამო ზოგმა ქართველმა ბიზნესის მფლობელმა [რუსული] ენის გამოყენება აკრძალა.[15]

---

[9] Korableva, Jonutyte, Silvan. “Domestic and International Reverberations from Russia’s War in Ukraine.” 2023. 3–4.

[10] გოგსაძე, დოლბაია, სიჭინავა. „შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის თავისებურებები საქართველოში.” 2022. 167.

[11] გოგსაძე, დოლბაია, სიჭინავა. „შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის თავისებურებები საქართველოში.” 2022. 167.

[12] ჩილაჩავა, „რა გავლენა იქონია რუსი მიგრანტების შემოსვლამ საქართველოს ეკონომიკაზე?” 2023.

[13] გოგსაძე, დოლბაია, სიჭინავა. „შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის თავისებურებები საქართველოში.” 2022. 170.

[14] Mitaishvili–Rayyis, “Shifting Attitudes Towards the Russian Language in Georgia.” 2023. 9.

[15] Korableva, Jonutyte, Silvan. “Domestic and International Reverberations from Russia’s War in Ukraine.” 2023. 4.

ქართველების ზოგადი დამოკიდებულება რუსი მიგრანტების მიმართ

გამოკითხვის მონაცემების მიხედვით, ქართველების უმეტესობას (66%) სჯერა, რომ რუსეთი ქვეყნის ყველაზე დიდი მტერია.[16] ეს დასკვნა შეიძლება, ბევრი ადამიანის შემთხვევაში მართებულიც იყოს, თუმცა, 2023 წლის ოქტომბერში „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (CRRC) საქართველოს“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ქვეყანაში რუსი ხალხის ყოფნასთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებებს ავლენს. დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) 2023 წლის ოქტომბრის გამოკითხვა ახალი პოლიტიკური პარტიისა და რუსეთის მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც ქართულ ენაზე ჩატარდა თბილისის, სხვა ქალაქებისა და სოფლების (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით) 1,278 მაცხოვრებელთან, სხვადასხვა შეკითხვას მოიცავდა და ცდილობდა, გამოეკვლია საქართველოს მოქალაქეების განწყობები მიგრანტების ამ ჯგუფის მიმართ.[17]

კითხვაზე: „რამდენად ენდობით ან არ ენდობით რუსეთის მოქალაქეებს, რომლებმაც რუსეთი დატოვეს?“ რესპონდენტების 71%–მა უპასუხა, რომ სრულად ან ნაწილობრივ არ ენდობა მათ, ხოლო 17% აღნიშნა, რომ ნაწილობრივ ან სრულად ენდობა მათ. რუსი მიგრანტების მიმართ ყველაზე მაღალი უნდობლობა (66%) 35–54 წლის ასაკის მოსახლეობაშია. ყველაზე ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ 20%–მა გამოხატა გარკვეული ნდობა რუსი მიგრანტების მიმართ. ახალგაზრდების ასაკობრივ ჯგუფში (18–34) შუახნის მოსახლეობის მსგავსად მაღალია რუსი მიგრანტების მიმართ უნდობლობა (65%).ნდობა ყველაზე მაღალი 55+ ასაკობრივ ჯგუფში იყო, 26%; თუმცა, ამ ასაკობრივ ჯგუფშიც უმრავლესობა (57%) გარკვეული დონის უნდობლობას აფიქსირებდა.

საინტერესოა, რომ რესპონდენტის სქესიც გარკვეულწილად დაკავშირებულია ნდობის დონესთან. ქალების 76%–მა თქვა, რომ არ ენდობა მიგრანტებს, რაც თითქმის 10 პროცენტული პუნქტით მეტია კაცებზე (67%), ხოლო 23% და 13%, შესაბამისი თანმიმდევრობით, გარკვეული დონის ნდობას გამოხატავს.[18]

---

[16] CRRC საქართველო, „კავკასიის ბარომეტრი 2021 საქართველო“, 2022.

[17] CRRC Georgia, NED. “NED 2023 ახალი პოლიტიკური პარტია და დამოკიდებულებები რუსეთის მოქალაქეები მიმართ ოქტომბერი 2023.” Oct. 2023.

[18] CRRC Georgia, NED. “NED 2023 ახალი პოლიტიკური პარტია და დამოკიდებულებები რუსეთის მოქალაქეები მიმართ ოქტომბერი 2023.” Oct. 2023.

დიაგრამა 1: „რამდენად ენდობით/არ ენდობით რუსეთის მოქალაქეებს, ვინც რუსეთი დატოვა?“ (%), *დემოკრატიის ეროვნული ფონდის (NED) გამოკითხვა ახალი პოლიტიკური პარტიისა და რუსეთის მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულების შესახებ, 2023 წლის ოქტომბერი.*



შენიშვნა: *ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით. „ვენდობი“ მოიცავს „სრულად ვენდობი“ და „ნაწილობრივ ვენდობი“ პასუხებს. „არ ვენდობი“ მოიცავს „ნაწილობრივ არ ვენდობი“ და „საერთოდ არ ვენდობი“ პასუხებს.*

ნდობის გარდა, გამოკითხვამ შეამოწმა მოსაზრებები პოლიტიკურად საკამათო საკითხებზე საქართველოში, როგორიცაა რუსეთის მოქალაქეებისთვის მუშაობის, ქონების შესყიდვისა და ქვეყანაში ვიზის გარეშე შემოსვლის უფლება. საერთო ჯამში, ქართველების 81% ეთანხმება, რომ რუსეთის მოქალაქეებს არ უნდა ჰქონდეთ ქვეყანაში ქონების შეძენის უფლება. 72% მიიჩნევს, რომ საქართველოში შემოსასვლელად რუსეთის მოქალაქეებს ვიზა უნდა სჭირდებოდეთ. რაც შეეხება მუშაობის უფლებას, ქართველების აზრი გაიყო, ნახევარზე ოდნავ მეტი (52%) არ ეთანხმება და 41% ეთანხმება იმას, რომ ამჟამად რუსეთის მოქალაქეებს საქართველოში მუშაობის უფლება აქვთ.[19]

[19] CRRC Georgia, NED. “NED 2023 ახალი პოლიტიკური პარტია და დამოკიდებულებები რუსეთის მოქალაქეები მიმართ ოქტომბერი 2023.” ოქტომბერი, 2023.

რუსი მიგრანტების მიმართ დამოკიდებულების შესწავლისას მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ რამდენად აქვთ რესპონდენტებს მათთან შეხება. შესაბამისად, კვლევის მონაწილეებს ჰკითხეს: „რამდენად ხშირად გაქვთ კონტაქტი რუსეთის მოქალაქეებთან, ვინც საქართველოში ჩამოვიდა?“ რესპონდენტების უმრავლესობამ (62%) აღნიშნა, რომ მათთან კონტაქტი არასდროს აქვთ. ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონტაქტის ალბათობაზე რესპონდენტის საცხოვრებელ ადგილს (დედაქალაქი, სხვა ქალაქი ან სოფელი ცხოვრებას) აქვს.[20]

დიაგრამა 2: „რამდენად ხშირად გაქვთ კონტაქტი რუსეთის მოქალაქეებთან, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ?“ (%), *NED 2023 ახალი პოლიტიკური პარტია და დამოკიდებულება რუსეთის მოქალაქეების მიმართ, ოქტომბერი 2023*



შენიშვნა: *დასახლების ტიპის მიხედვით.*

თბილისში მაცხოვრებლებს ყველაზე ხშირად აქვთ ყოველდღიური კონტაქტი რუსეთის მოქალაქეებთან (11%) მაშინ, როცა სხვა ქალაქებისა და სოფლების მაცხოვრებლების მხოლოდ ხუთი პროცენტი ამბობს იმავეს. საერთო ჯამში, რესპონდენტების უმრავლესობას დედაქალაქში, სხვა ქალაქებსა და სოფლებში „არასდროს“ აქვთ კონტაქტი რუს

[20] CRRC Georgia, NED. “NED 2023 ახალი პოლიტიკური პარტია და დამოკიდებულებები რუსეთის მოქალაქეები მიმართ ოქტომბერი 2023.” ოქტომბერი 2023.

მიგრანტებთან – 53%, 62% და 71% შესაბამისი თანმიმდევრობით. სხვა დემოგრაფიული მახასიათებლებიც უკავშირდება ამ პოპულაციასთან კონტაქტის ქონის ალბათობას.

დიაგრამა 3: „რამდენად ხშირად გაქვთ კონტაქტი რუსეთის მოქალაქეებთან, რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ?“ (პროგნოზირებული ალბათობა), *NED 2023 ახალი პოლიტიკური პარტია და დამოკიდებულებები რუსეთის მოქალაქეების მიმართ, ოქტომბერი 2023.*



შენიშვნა: *ანალიზში პროგნოზირებისთვის გამოყენებული ცვლადები მოიცავს: სქესს (კაცი, ქალი), ასაკობრივ ჯგუფს (18-34, 35-54 და 55+), დასახლების ტიპს (დედაქალაქი, სხვა ქალაქები, სოფლები) და განათლების დონე (საშუალო /საშუალო ტექნიკური/ საშუალოზე დაბალი და უმაღლესი).*

ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზი აჩვენებს, რომ 18-34 წლის ადამიანებს, კაცებს, დედაქალაქში მცხოვრებთ და მათ, ვისაც საუნივერსიტეტო განათლება აქვს, უფრო მაღალი ალბათობით აქვთ კონტაქტი რუს მიგრანტებთან. როგორც მოსალოდნელი იყო, რადგანაც თბილისი მიგრანტებისთვის ერთ-ერთ ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენს,

ადამიანის საცხოვრებელი ადგილი მჭიდროდაა დაკავშირებული კონტაქტის ქონასთან, რადგანაც დედაქალაქში მცხოვრებთ 18 პუნქტით უფრო მაღალი ალბათობით აქვთ გარკვეული დონის კონტაქტი რუს მიგრანტებთან, ვიდრე მათ, ვინც სოფლად ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდები (18–34) უფრო ხშირად ამბობენ, რომ რუსებს არ ენდობიან, ამავდროულად ეს არის ის ასაკობრივი ჯგუფი, რომლის შემთხვევაშიც ყველაზე მაღალია რუს მიგრანტებთან კონტაქტის ქონის ალბათობა. ამასთან, ეთნიკურ უმცირესობებს 13 პუნქტით უფრო მაღალი ალბათობა აქვთ, რომ კონტაქტი ჰქონდეთ მიგრანტებთან, ვიდრე ეთნიკურად ქართველებს.[21]

მიგრანტების პერსპექტივა

შესაძლოა, რუსი მიგრანტების მიმართ ქართველების ნდობა დაბალი იყოს, თუმცა, ათასი გამოკითხული რუსი მიგრანტი ადგილობრივებზე იმავე აზრის არ არის. მიუხედავად იმისა, რომ წარმომადგენლობით სურათს არ გვაძლევს, CRRC–საქართველოს მიერ 2023 წლის გაზაფხულზე ჩატარებული გამოკითხვა ღირებულ კონტექსტს ქმნის რუსების პერსპექტივაზე, შეგრძნებებზე ამ ადგილის მიმართ და საქართველოში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე. დაახლოებით 1,000 გამოკითხული მიგრანტიდან 72%–მა ქართველების მიმართ გარკვეული დონის ნდობა დააფიქსირა, რაც ძალიან განსხვავებული მაჩვენებელია ქართველების 17%–თან შედარებით, ვინც იმავეს ამბობს. გარდა ამისა, გამოკითხვის რესპონდენტთა დაახლოებით სამი მეოთხედი (74%) საქართველოში საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილების გარკვეულ დონეზე მიუთითებს. მხოლოდ ხუთმა პროცენტმა აღნიშნა, რომ საქართველოში ცხოვრებით უკმაყოფილოა.[22]

გამოკითხვის შედეგები ადასტურებს ბევრი რუსი მიგრანტის ომისა და მთავრობის საწინააღმდეგო პოზიციას. რესპონდენტთა 58%–მა აღნიშნა, რომ საქართველოში მიგრაციის მიზეზი უკრაინაში რუსეთის ომი იყო. 69%–მა ქვეყნის დატოვების მიზეზად რუსეთში არსებული პოლიტიკური სიტუაცია მიუთითა. გამოკითხულთა მხოლოდ ერთმა

[21] CRRC საქართველო, დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED). “NED 2023 ახალი პოლიტიკური პარტია და დამოკიდებულებები რუსეთის მოქალაქეები მიმართ ოქტომბერი 2023.” Oct. 2023.

[22] CRRC საქართველო, დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED). „რუსი მიგრანტების გამოკითხვა.“ 2023.

პროცენტმა თქვა, რომ მოსწონს ვლადიმერ პუტინი, 72%-ს იგი არ მოსწონს. დანარჩენი რესპონდენტები ან უარს აცხადებდნენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზე, ან ინტერვიუს ამ კითხვამდე წყვეტდნენ.[23]

გამოკითხულთა შორის განსხვავდება მიგრანტების მიერ დანიშნულების ადგილად საქართველოს არჩევის მოტივაცია. მეოთხედზე მეტი (27%) მიუთითებს, რომ საქართველოში თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ. ამას მოსდევს ქვეყანაში ცხოვრების ხელმისაწვდომობა (16%). მესამე, გამოკითხულთა 15%-მა აღნიშნა, რომ მათ გადაწყვეტილებაზე გავლენა რუსეთთან საქართველოს გეოგრაფიულმა სიახლოვემ მოახდინა. რესპონდენტების რვა პროცენტისთვის მოტივაციას საქართველოში ბიზნესის დაწყების სიმარტივე წარმოადგენს.[24]

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რუსეთის მთავრობას ეწინააღმდეგება, გამოკითხულმა მიგრანტებმა მათსა და ადგილობრივებს შორის დაძაბულობის გარკვეულ დონეზე მიუთითეს. კითხვას: „გამოგიცდიათ თუ არა პრობლემები – დაგმობა ან რუსების დისკრიმინაცია?“ გამოკითხულთა 32%-მა დადებითი პასუხი გასცა. თუმცა, როცა ჰკითხეს: „ფიზიკურად რამდენად დაცულად ან დაუცველად გრძნობთ თავს საქართველოში?“ 90%-მა დაადასტურა, რომ თავს დაცულად გრძნობს.[25]

ერთი მხრივ, გამოკითხულმა მიგრანტებმა ეროვნების გამო დისკრიმინაციის გამოცდილება დაადასტურეს, მეორე მხრივ კი უმრავლესობამ (57%) აღნიშნა, რომ საქართველოში ადგილობრივებს დაუმეგობრდა. გარდა ამისა, 31% თქვა, რომ ადგილობრივებთან ყოველდღიური კომუნიკაცია აქვს, 26%-მა კი მიუთითა, რომ მათთან კვირაში ერთხელ მაინც ურთიერთობს, 11%-მა კი – რომ თვეში ერთხელ მაინც აქვს კომუნიკაცია. გამოკითხვის რესპონდენტთა ოთხმა პროცენტმა ამ კითხვაზე უპასუხა, რომ ქართველებთან კონტაქტი არასდროს აქვს.

ქართული ენის არცოდნა შესაძლოა, ერთ-ერთი მიზეზი იყოს იმისა, რომ გამოკითხულები ადგილობრივებთან კომუნიკაციისას შეზღუდულები არიან. რესპონდენტების ნახევარზე

---

[23] CRRC საქართველო, დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED). „რუსი მიგრანტების გამოკითხვა.“ 2023.

[24] CRRC საქართველო, დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED). „რუსი მიგრანტების გამოკითხვა.“ 2023.

[25] CRRC საქართველო, დემოკრატიის ეროვნული ფონდი (NED). „რუსი მიგრანტების გამოკითხვა.“ 2023

მეტი (71%) მიუთითებს, რომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იცის, რასაც საუბრისას რეგულარულად იყენებს. მომდევნო ყველაზე ხშირ პასუხს რესპონდენტების 15% ირჩევს და ამბობს, რომ ქართული ენა საბაზისო დონეზე ესმის. როდესაც დამატებით ჰკითხეს, გააგრძელებდნენ თუ არა ქართული ენის სწავლას, 67%–მა უპასუხა „დიახ“.[26]

დასკვნა

რუსი მიგრანტები საქართველოში გარკვეულწილად უჩვეულო მდგომარეობაში არიან. გამოკითხულები აცხადებენ, რომ ომს ეწინააღმდეგებიან, თუმცა, ისინი იმყოფებიან ქვეყანაში, რომელშიც ათ წელზე მცირედით მეტი ხნის წინ რუსეთი შეიჭრა. გამოკითხული ქართველები ადასტურებენ, რომ რუსეთის მემკვიდრეობა საქართველოში იმის საფუძველს ქმნის, რომ მისი მოქალაქეების მიმართ მოსახლეობაში ნდობის დაბალი მაჩვენებელია და ეს პოტენციურად ადგილობრივების მხრიდან იმიგრანტებისგან თვითსეგრეგაციას უწყობს ხელს.

თუმცა, ქართველების მხრიდან მაღალი უნდობლობის საპირისპიროდ, გამოკითხული რუსი მიგრანტები უმეტესად ენდობიან ადგილობრივებს იმის მიუხედავად, რომ მათი თქმით, ეროვნების გამო შევიწროებასაც აწყდებიან. ამავდროულად, ქართველების უმრავლესობა ამბობს, რომ არასდროს აქვს კონტაქტი რუს მიგრანტებთან, ხოლო გამოკითხული რუსი მიგრანტების დიდი ნაწილი საპირისპიროს ადასტურებს. ამასთან, მიგრანტების უმრავლესობა ახალ საზოგადოებაში თავს დაცულად გრძნობს.

გამოკითხვის შედეგები ბოლომდე ნათელს ვერ ჰფენს იმას, თუ რამდენად გრძნობენ რუსი მიგრანტები, რომ ქართულ საზოგადოებაში სრულად ინტეგრირებულნი არიან (ან არის თუ არა ეს ის, რისკენაც რუსი მიგრანტები ისწრაფვიან). თუმცა, კვლევა ავლენს დამოკიდებულებებს, რაც ადასტურებს, რომ ქვეყანაში რუსების მიმღებლობა არაერთგვაროვანია. მაშინ, როცა საქართველოს შემაწუხებელი სტუმრები შესაძლოა, უფრო დადებითად აღიქვამდნენ გარკვეულწილად უხალისო მასპინძლებს, აშკარაა მკაფიო სხვაობა ამ ორ ჯგუფს შორის, რომლებმაც შესაძლოა, სულაც არ ისურვონ ერთმანეთთან კავშირების გაბმა.

[26] CRRC Georgia, NED. “Survey of Russian Emigrants.” 2023.

გამოყენებული ლიტერატურა

ჩიჩილავა, ნინო. „რა გავლენა იქონია რუსი მიგრანტების შემოსვლამ საქართველოს ეკონომიკაზე?“ *ტაბულა:* 9 ნოემბერი, 2023.

კვაჭაძე, ნანა. „რუსეთიდან საქართველოში 1.2 მილიონი მოქალაქე შემოვიდა – 9 თვის მონაცემები.“ *ბათუმელები:* 3 იანვარი, 2023. https://batumelebi.netgazeti.ge/news/458093/

გოგსაძე, გიორგი; დოლბაია, თამარ; სიჭინავა, ტატიანა. „შრომითი მიგრანტების ინტეგრაციის თავისებურებები საქართველოში.“ *Dela*: 2022. Pp. 155–176.

CRRC-საქართველო. „კავკასიის ბარომეტრი 2021“. *CRRC-საქართველო:* 2022. https://caucasusbarometer.org/en/cb2021ge/MAINENEM/

CRRC-საქართველო, NED. „რუსი ემიგრანტების გამოკითხვა.” *CRRC-საქართველო*: 2023.

CRRC-საქართველო, NED. “NED 2023 ახალი პოლიტიკური პარტია და დამოკიდებულებები რუსეთის მოქალაქეები მიმართ ოქტომბერი 2023”. *CRRC-საქართველო*: ოქტომბერი 2023.

Korableva, Ekaterina; Jonutyte, Kristine; Silvan, Kristiina. “Domestic and International Reverberations from Russia’s War in Ukraine.” *Russian Analytical Digest (RAD): Aug. 22,* 2023.

Mitaishvili-Rayyis, Yasmine. “Shifting Attitudes Towards the Russian Language in Georgia.” *Georgian Foundation for Strategic and International Studies (GFSIS):* 31 ივლისი, 2023.

Prashizky, Anna. “Living in Limbo: Digital narrative of migrants fleeing Russia after the Russian invasion of Ukraine.” *First Monday*. 2023.

Silagadze, Givi. “How do Georgians feel about the influx of Russians?” *OC Media*. 7, Feb. 2023. https://oc-media.org/features/datablog-how-do-georgians-feel-about-the-influx-of-russians/